ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2313427

ნომერი: AR1354065

თარიღი : 03.11.2015

გაცემის თარიღი : 26.11.2015

გაცნობის თარიღი : 30.11.2015

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი სპორტის სასახლის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კალაძე პ/ნ 01005005267
- სპორტის სასახლესთან

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

AR1354065 03.11.2015 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, სპორტის სასახლის მიმდებარედ ღია საზაფხულო კაფეს განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების გაცემას გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ საპროექტოდ შერჩეული ტერიტორია წარმოადგენს გამწვანებულ სივრცეს (სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1)), სადაც გამწვანებისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე ღია კაფეს განთავსებისას ძლიერ დაზიანდება არსებული მწვანე საფარი, რომელიც ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, წარმოადგენს რა სარეკრეაციო სივრცის ნაწილს და აბალანსებს მიმდებარედ მაღალი ინტენსივობით გადატვირთულ განაშენიანებას. აქედან გამომდინარე, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩია, ტერიტორია დარჩეს გამწვანებულ, საზოგადოებრივ სივრცედ, შესაბამისად სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge